თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3882279

ნომერი: AR1580275

თარიღი : 13.03.2018

გაცემის თარიღი : 26.03.2018

გაცნობის თარიღი : 26.03.2018

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , კუს ტბა.;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი რაზმაძე პ/ნ 01020011721
- თბილისი ლოტკინის ხევი N 50

ნომენკლატურა :

- I კლასი
- დროებითი (საძირკველის არ მქონე) შენობა-ნაგებობა
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რაზედაც გაცნობებთ შემდეგს:

საპროექტო მიწის ნაკვეთისა და მიმდებარე მიწის ნაკვეთზე (რომელიც განთავსებულია ამავე ტერიტორიაზე), სამსახურში არაერთხელ შემოსულა, მსგავსი ტიპის სამუშაოების განსახორციელებლად განაცხადი. რომელთაგან რამოდენიმე საკითხი სამსახურის შუამდგომლობით გატანილი იქნა ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიაზე, რომლის გადაწყვეტილებით ზემოაღნიშნულ საკითხებს მიეცათ უარყოფითი შეფასება. ზემოაღნიშნული კომისიის რეკომენდაციით საჭიროა დამუშავდეს განაშენიანების რეგულირების გეგმა, რის მიხედვითაც მოხდება მიმდებარე და საპროექტო ტერიტორიების შემდგომი განვითარება. გამომდინარე აქედან ამ ეტაპზე სამსახურის მიერ ვერ მოხდება ცალკე, დამოუკიდებლად ნებართვის გაცემა, რომ არ მოხდეს ერთიანი სივრცითი გადაწყვეტის დარღვევა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური ამ ეტაპზე მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.